

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს “ყაზბეგის 15”

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.	7
2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები და ახსნა-განმარტებები.....	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძვლები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	14
5. ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და შევიდა ძალაში	15
6. ძირითადი საშუალებები.....	16
7. არამატერიალური აქტივები.....	17
8. მარაგები	17
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	17
10. საგადასახადო აქტივები.....	18
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
12. საწესდებო კაპიტალი	18
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
14. შემოსავალი.....	19
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	19
17. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	20
18. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20
19. მოგების გადასახადი	20
20. პირობითი ვალდებულებები	20
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	21
22. ფინანსური რისკების მართვა	22
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ყაზბეგის 15-ის“ მენეჯმენტსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ყაზბეგის 15-ის“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან და სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ასევე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ზასსკ) მიერ.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 27 სექტემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავეგემოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა (Reg. # SARAS-A-577214)

27 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



RSM

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ყაზბეგის 15-ის“ მენეჯმენტსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ყაზბეგის 15-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან და სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ასევე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე -6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 27 სექტემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა (Reg. # SARAS-A-577214)

27 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

Rsm Georgia


შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6	23,260,777
არამატერიალური აქტივები	7	404,208
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,664,985
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	8	323,088
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	453,864
საგადასახადო აქტივები	10	123,802
ფული და ფულის ეკვივალენტი	11	1,459,279
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,360,033
სულ აქტივები		26,025,018
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	12	27,682,305
გაუნაწილებელი მოგება		(1,804,708)
სულ კაპიტალი		25,877,597
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	147,421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		147,421
სულ ვალდებულებები		147,421
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,025,018

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

ფარჰად გაფარზადა

შპს „ყაზბეგის 15“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6	23,260,777
არამატერიალური აქტივები	7	404,208
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,664,985
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	8	323,088
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	453,864
საგადასახადო აქტივები	10	123,802
ფული და ფულის ეკვივალენტი	11	1,459,279
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,360,033
სულ აქტივები		26,025,018
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	12	27,682,305
გაუნაწილებელი მოგება		(1,804,708)
სულ კაპიტალი		25,877,597
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	147,421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		147,421
სულ ვალდებულებები		147,421
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		26,025,018

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

ფარჰად გაფარზადა

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

	შენიშვნა	2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შემოსავალი	14	71,431
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(933,025)
საერთო ზარალი		(861,594)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(959,660)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი		(3,913)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	17	(146,725)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18	167,185
ზარალი დაბეგვრამდე		(1,804,708)
მოგების გადასახადი	19	-
წმინდა ზარალი		(1,804,708)
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(1,804,708)

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი


ფარჰად გაფარზადა

შპს „ყაზბეგის 15“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ლარში
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

	შენიშვნა	2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შემოსავალი	14	71,431
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(933,025)
საერთო ზარალი		(861,594)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(959,660)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი		(3,913)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	17	(146,725)
სხვა არასასაპერაციო შემოსავალი	18	167,185
ზარალი დაბეგვრამდე		(1,804,708)
მოგების გადასახადი	19	-
წმინდა ზარალი		(1,804,708)
სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(1,804,708)

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი



ფარჰად გაფარზაძე

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
31 იანვარი 2023	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	27,682,305	-	27,682,305
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,804,708)	(1,804,708)
31 დეკემბერი 2023	27,682,305	(1,804,708)	25,877,597

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

ფარჰად გაფარზადა

შპს „ყაზბეგის 15“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
31 იანვარი 2023	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	27,682,305	-	27,682,305
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,804,708)	(1,804,708)
31 დეკემბერი 2023	27,682,305	(1,804,708)	25,877,597

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

ფარჰად გაფარზადა

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე
ზარალი დაბეგვრამდე:	(1,804,708)
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	601,423
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	3,913
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება), წმინდა	146,725
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:	
ზრდა/(შემცირება) მარაგებში	(323,088)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო აქტივებში	(123,802)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(457,777)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო ვალდებულებებში	154,621
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(1,802,693)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(23,851,112)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(415,296)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	(24,266,408)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:	
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	27,682,305
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) საფინანსო საქმიანობიდან	27,682,305
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	1,613,204
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის 1 იანვარს	-
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულად სახსრებზე	(153,925)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს, 31 დეკემბერს	1,459,279

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

ფარჰად გაფარზადა

შპს „ყაზბეგის 15“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის.

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე
ზარალი დაბეგვრამდე:	(1,804,708)
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	601,423
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	3,913
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი/(მოგება), წმინდა	146,725
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:	
ზრდა/(შემცირება) მარაგებში	(323,088)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო აქტივებში	(123,802)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(457,777)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო ვალდებულებებში	154,621
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(1,802,693)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(23,851,112)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(415,296)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	(24,266,408)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:	
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	27,682,305
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) საფინანსო საქმიანობიდან	27,682,305
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულისა და ფულის ეკვივალენტებში	1,613,204
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის 1 იანვარს	-
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულად სახსრებზე	(153,925)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს, 31 დეკემბერს	1,459,279

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

ფარჰად გაფარზადა

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები და ახსნა-განმარტებები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ყაზბეგის 15“ (საიდენტიფიკაციო ნომრით 402263732), იყო რეგისტრირებული როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2023 წლის 31 იანვარს და ოპერირებს ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი N15, „ა“ ბლოკი.

ბიზნესის ბუნება: შპს „ყაზბეგის 15“ არის ჩართული სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში. კომპანია ძირითადად მართავს თბილისში, საქართველოში მდებარე სასტუმროს. კომპანია სთავაზობს განსახლების, კვებისა და სასმელის მომსახურებას თავის სტუმრებს და ემსახურება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მოგზაურებს. ამჟამად კომპანია ფლობს და ოპერირებს სასტუმროს “Tbilisi Saburtalo Hotel by Mercure.”

პროდუქტები და სერვისები: რაც შეეხება მის პროდუქტებსა და სერვისებს, კომპანია გამოიმუშავებს შემოსავალს რამდენიმე სახის სერვისის მიწოდებით. ეს სერვისები მოიცავს განსახლების სერვისს და კვებისა და სასმელის მომსახურებას. სასტუმრო ასევე აქირავებს საკონფერენციო ოთახებს და მართავს რესტორნებსა და ბარებს, რომლებიც ღიაა როგორც სასტუმროს, ასევე გარე სტუმრებისთვის.

აქციონერები და საბოლოო ბენეფიციარები:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ყაზბეგის 15“-ის 100%-იანი წილის მფლობელია თურქული კორპორაცია „Greenlight Dis Ticaret Anonim Sirketi“. საბოლოო ბენეფიციარი კი ბ-ნი ფარვიზ აბასგულიევი, რომლის სრულ მფლობელობაშიცაა კორპორაცია „Greenlight Dis Ticaret Anonim Sirketi.“

ჯგუფის სტრუქტურა: თურქული კორპორაცია „Greenlight Dis Ticaret Anonim Sirketi“ ფლობს წილების 100%-ს შემდეგ კომპანიებში: შპს „ყაზბეგის 15“, შპს „მელიქიშვილის 10“ და შპს „ტაბიძის 4“.

2. სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად, რომლებიც ძალაში იყო 2023 წლის 31 დეკემბრის. ეს არის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოამზადა კომპანიამ მისი დაფუძნების შემდეგ.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანია დარეგისტრირდა 2023 წლის 31 იანვარს, მისი პირველი ფინანსური ტრანზაქცია კი განხორციელდა 2023 წლის 28 მარტს. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდს 2023 წლის 31 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე. ეს საანგარიშგებო პერიოდი ნაკლებია ერთ სრულ წელზე.

საწყისი ფინანსური ანგარიშგება

ვინაიდან ეს არის კომპანიის მიერ მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, არ არსებობს შედარებითი მაჩვენებლები წინა პერიოდიდან. საწყისი კაპიტალის ბალანსი და ყველა ტრანზაქცია, პირველი ტრანზაქციის განხორციელების თარიღიდან, ასახულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის; კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის; ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 2023 წლის 31 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის; ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით იმ თარიღით, როდესაც ტრანზაქცია პირველად კვალიფიცირდება აღიარებისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას ექნება შესაძლებლობა განაგრძოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება ეჭვი შეიტანოს კომპანიის შესაძლებლობებზე, განაგრძოს საქმიანობა უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საქმიანობის პრინციპის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარებისას, ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, ისევე როგორც ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის ადგილზე მიტანასთან და მდგომარეობასთან, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მას შეეძლოს იმუშაოს მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული წესით.

ღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტის გადასახდელებით, გამოქვითვადი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როდესაც ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო ვადა, ისინი აღირიცხება ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულების მოდელის მიხედვით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით მათი ღირებულებიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

აქტივის ამორტიზაცია იწყება იმ თარიღიდან, როდესაც ის შეიძლება გამოიყენოს, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება ისეთ ადგილას და მუშა მდგომარეობაში, რომ აქტივის ექსპლუატაცია შესაძლებელია მენეჯმენტის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად, და ამორტიზაციის ღირებულება არის სისტემატიურად გამოიყოფა მისი სასარგებლო ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადის შემდეგი სავარაუდო მაჩვენებლების მიხედვით:

შენობები	50 წელი
აღჭურვილობა და დანადგარები	3 – 10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2 – 10 წელი
ავტო და სხვა ინვენტარი	2 – 10 წელი

ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

შედგება მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკატორი. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის და მასალებისა შეძენასთან. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, თუ დადგინდება რომ არსებობს ობიექტური გარემოება, რომ კომპანიის მიერ მომხმარებლებისგან ვერ მოხდება სრულად ანაზღაურების მიღება, არსებული შეთანხმების პირობების შესაბამისად. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა და გადახდების შეუსრულებლობა ან გადახდის ვადის გადაცილებები, ითვლება ინდიკატორებად რომ სავაჭრო მოთხოვნა არის გაუფასურებული.

გაუფასურების რეზერვი არის აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების სავარაუდო მიმდინარე ღირებულების შორის სხვაობის ტოლი, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნა შეუგროვებელია, მისი ჩამოწერა ხდება სავაჭრო მოთხოვნის რეზერვის ანგარიშზე. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფას 9 - ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ფინანსური ვალდებულებები დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ხარჯი იქნა გაწეული.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან გაუქმება ან მოქმედების ვადა დასრულება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია აღიარებს შემოსავალს ყველა შემდეგი პირობის დაკმაყოფილების შემდგომ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც ან (თუ) პირი შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას;

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც (ან თუ) კომპანია შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს კლიენტისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების (ანუ აქტივის) კლიენტისთვის გადაცემით. აქტივის

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც (ან თუ) შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე „კონტროლი“ მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სასტუმრო, სარესტორნო და სპა მომსახურების გაწევა.

კომპანიის პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

შემოსავალი კვებისა და სასმელის მომსახურებიდან

შემოსავალი საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს, ანაზღაურების სანაცვლოდ. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა.

აქედან გამომდინარე, ამ სახის შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც “კონტროლი” და ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან

შემოსავალი სასტუმრო და სპა მომსახურებიდან მოიცავს შემოსავლებს სასტუმროს ოთახით სარგებლობისთვის, სპა და სხვა გამაჯანსაღებელი მომსახურების სარგებლობისთვის. შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმროს მომსახურება, სპა და სპორტული დარბაზით სარგებლობა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

გარიგების ღირებულების ნაწილის გადახდა ხდება ავანსად, ხოლო დარჩენილი ნაწილისა დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღება, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ტრანზაქციის ფასი წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც კომპანია მოელის საქონლისა და მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ, რომელიც არ მოიცავს მხარისთვის გადასახდელებს (როგორცაა დამატებითი ღირებულების გადასახადი). კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის მიზანია, საკონტრაქტო ღირებულების განაწილებისას, მოახდინოს საკონტრაქტო ღირებულების განაწილება ყოველ შესასრულებელ ვალდებულებაზე (პროდუქციისა და მომსახურების გამიჯვნა) ისეთი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელოდება პროდუქციისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

(ა) თანამშრომელთა ხელფასები და სხვა შეღავათები – დარიცხული ხელფასი, პრემიები და სხვა სარგებელი(დაზღვევა) ერიცხება იმავე საანგარიშო პერიოდში, როდესაც სრულდება შესაბამისი მომსახურება.

შპს „ყაზბეგის 15“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარში

(ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით,

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ანგარიშგების თარიღისთვის გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის კურსი	
